ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N1/15

ქ. თბილისი 29 იანვარი 2014 წელი

ერთის მხრივ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის მაგდა ბოლოთაშვილის სახით (შემდგომში შემსყიდველი), და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. ,,ტოიოტა ცენტრი თბილისი" წარმოდგენილი მისი დირექტორის, ირაკლი გურჩიანის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის ,,ს" პრიმა ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ავტომობილის (სახ.N: VVU-931) გეგმიური ტექნიკური მომსახურება, კერძოდ:

ა) ძრავის ზეთები (CPV კოდი: 09211100) – 90 ლარი;

ბ) ზეთის, ბენზინისა და შემავალი ჰაერის ფილტრები (CPV კოდი: 42913000) – 245 ლარი;

გ) მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (CPV კოდი: 50112000) - 30 ლარი, (შემდგომში – მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, კანონით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, შეადგენს 365 (სამას სამოცდახუთი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის საფუძველზე, მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

3.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ღირებულება მოცემული იქნება უცხოური ვალუტის ექვივალენტ ლარში, მხარეთა შეთანხმებით გაცვლითი კურსი გამოანგარიშებული იქნება მიღება-ჩაბარების გაფორმების თარიღისათვის მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის საფუძველზე.

4.2. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5. მიწოდების ადგილი და პირობები

5.1. მიმწოდებელი მომსახურებას განახორციელებს ტოიოტა ცენტრის სერვისცენტრში.

5.2. მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს 2014 წლის 29 იანვრიდან 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

6. მომახურების ხარისხი

6.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების ხარისხზე.

6.2 უხარისხო (წუნდებული) მომსახურების გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია დროულად უზრუნველყოს ხარვეზის გამოსწორება.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აუნაუზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში;

ბ) მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევისას ნაკლის ან/და დეფექტის გამოვლენიდან 5 დღეში წერილობით აცნობოს მას ამის თობაზე;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მას ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. შეტყობინების ფორმა

9.1 ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის გაგზავნილი ყველა შეტყობინება და ინფორმაცია უნდა იყოს:

ა) გაფორმებული წერილობით;

ბ) ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

გ) გადაცემული პირადად ან დაზღვეული წერილით.

9.2 გამონაკლის შემთხვევებში მხარეები შეიძლება წერილობით შეთანხმდნენ შეტყობინების ელექტრონული ან საკაბელო არხებით, ტელეფონით ან ფაქსით, ან მყისიერი გადაცემის სხვა მექანიზმის გამოყენებაზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ შეწყვეტამდე ორი კვირით ადრე გაფრთხილებს მიმწოდებელს აღნიშნულის შესახებ.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია 2014 წლის 29 იანვრიდან და მოქმედებს 2014 წლის 25 თებერვლის ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო
მის: ქ. თბილისი, ყაზბეგის ქუჩა 3-5
საიდენტიფიკაციო კოდი: 204990082
ეროვნული ბანკი
ბანკის კოდი: 220101222
ა/ა # 200122900

დირექტორის მოადგილე:
მაგდა ბოლოთაშვილი

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. ,,ტოიოტა ცენტრი თბილისი"

მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-20 კმ.
საიდენტიფიკაციო კოდი: 211346220
ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა # GE83BG00 0000 0121 2272 00

დირექტორი
ირაკლი გურჩიანი

ქ. თბილისი 29 იანვარი 2014 წელი

მიღება-ჩაბარების
აქტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი"), სააგენტოს დირექტორის მოადგილის მაგდა ბოლოთაშვილის სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ტოიოტა ცენტრი თბილისი", მისი დირექტორის ირაკლი გურჩიანის სახით, თანახმად მხარეთა შორის გაფორმებული 29.01.2014 წლის 1/15 ხელშეკრულებისა, აღნიშნული აქტით ვადასტურებთ, რომ 2014 წლის 29 იანვარს „შემსყიდველმა" ჩაიბარა და "მიმწოდებელმა" მიაწოდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 365 (სამას სამოცდახუთი) ლარი. აქტი სწორია, რაზედაც ვაწერთ ხელს.

შემსყიდველი:
სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო
მის: ქ. თბილისი, ყაზბეგის ქუჩა 3-5
საიდენტიფიკაციო კოდი: 204990082
ეროვნული ბანკი
ბანკის კოდი: 220101222
ა/ა # 200122900

დირექტორის მოადგილე:
მაგდა ბოლოთაშვილი

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „ტოიოტა ცენტრი თბილისი"

მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-20 კმ.
საიდენტიფიკაციო კოდი: 211346220
ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა # GE83BG00 0000 0121 2272 00

დირექტორი
ირაკლი გურჩიანი